



ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება-106/12

1. ფაქტები

ა.ბ. და ლ.ბ. იყვნენ მეუღლეები. მეუღლეებს დავა წარმოეშვათ პრივატიზაციით მიღებულ უძრავ ქონებაზე. დავის განმავლობაში ლ.ბ.-ს ინტერესებს იცავდა ადვოკატი მ.ბ. ადვოკატმა მ.ბ.-მ, როდესაც ჯერ არ ჰქონდა მინდობილობა, შეავსო საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის ფორმა და ხელი მოაწერა მას ა.ბ.-ს სახელით. მისამართის გრაფაში, სადაც მითითებულია: „უჩვენეთ ზუსტი მისამართი“, ადვოკატმა მიუთითა არა ა.ბ.-ს ნამდვილი მისამართი - ქ.თბილისი, ქ. ქუჩა №X, კორპ №X, ბინა №X, არამედ ნიმუშისთვის მიუთითა სხვა ბინის ნომერი-ქ.თბილისი, ქავთარაძის ქუჩა №X, კორპ №X ბინა №XX. აღნიშნული მოწმობის საფუძველზე ლ.ბ. დარეგისტრირდა საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის ფორმაში მითითებულ მისამართზე საჯარო რეესტრის თანამშრომლის შეცდომის შედეგად. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 21 ივნისის განაჩენით დამტკიცდა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება და მ.ბ. ცნობილი იქნა დამნაშავედ ყალბი დოკუმენტის, კერძოდ, ა.ბ.-ს საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის დამზადება-გამოყენებისათვის.

2. პროცესუალური ისტორია

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ა.ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ბ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. დისციპლინურმა კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ მ.ბ.-ს მიმართ კანონიერების პრინციპის დარღვევის თაობაზე (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი).

3. სამართლებრივი ანალიზი

ჩაითვლება თუ არა ადვოკატის მიერ კლიენტთან კონსულტაციის ეტაპზე ჩადენილი კანონდარღვევა ადვოკატთა დისციპლინური ნორმების დარღვევად? „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

ადვოკატმა გაუფრთხილებლობით დაარღვია გონივრული წინდახედულების ფარგლები კლიენტის ინტერესების წარმოდგენისას და ნიმუშად შევსებულ დოკუმენტს-საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობას, თავად, სხვა პირის სახელისა და გვარის მითითებით მოაწერა ხელი. ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება-დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშობა მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების მომენტიდან ადვოკატს წარმოეშობა კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, კონსულტაციის გაწევის შემდეგ კლიენტი გააგრძელებს თუ არა მასთან ურთიერთობას. ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის მითითებას, რომ ლ. ბ. დოკუმენტის ნიმუშად შევსების მომენტში ჯერ კიდევ არ იყო მისი კლიენტი და იგი რუსულენოვან ქალბატონს დაეხმარა ქართულენოვანი დოკუმენტის ნიმუშად შევსებაში არა როგორც ადვოკატი, არამედ როგორც ფიზიკური პირი მ. ბ., რადგან მინდობილობა მხოლოდ კონსულტაციის გაწევის შემდეგ გაფორმდა. აღნიშნულ შემთხვევაში



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

**NEW VISION
UNIVERSITY**

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ადვოკატ-კლიენტის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა ზოგადი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან, ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე და საცხოვრისის მესაკუთრის თანხმობის ფორმის შევსებისას მ. ბ. მოქმედებდა როგორც ადვოკატი. ადვოკატის მიერ კლიენტთან კონსულტაციის ეტაპზე ჩადენილი კანონდარღვევა ჩაითვლება პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დაღვევად, რადგან ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა იწყება ჯერ კიდევ პოტენციური კლიენტისათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევის მომენტიდან.

ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.